03/11

ხელშეკრულება №0300/10/015

ქ. თბილისი **იანვარი 2020 წ.**

ერთი მხრივ, **"შემსრულებელი"** – სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ნათია მიქელაძის** სახით, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 99-ე მუხლის მე-12 ნაწილის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 მარტის N 1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის ცენტრის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს N301 დადგენილებით დამტკიცებული „აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი"-ს თანახმად და მეორეს მხრივ, **"განმცხადებელი" - შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **გიორგი შარკოვის** სახით, **"განმცხადებელი"**-ს მიერ **"შემსრულებელი"**-სათვის წარდგენილი 16.12.2019 წ. (აკრედიტაციის ცენტრში დარეგისტრირებული N 1273; 18.12.2019 წ.) განაცხადის საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **"შემსრულებელი"** ჩაატარებს **"განმცხადებელი"-ს საკალიბრებელი ლაბორატორიის (მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის ქ. #37ა) ყოველწლიური შეფასების სამუშაოებს,** აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 75100000; 75120000.

მუხლი 2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 **"შემსრულებელი"** იღებს ვალდებულებას გასწიოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება, **„განმცხადებლის"** მიერ ამ ხელშეკრულების პუნქტი 3.1-ით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში.

2.2 **„შემსრულებელი"** სამუშაოებს ატარებს აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად (დამატებითი ინფორმაცია იხ. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: www.gac@gac.gov.ge).

2.3 **"განმცხადებელი"** იღებს ვალდებულებას, რომ აკრედიტაციის ცენტრის ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნას ყველა პირობა შეფასების ჩასატარებლად.

მუხლი 3. მომსახურების საფასური

3.1 **"შემსრულებლის"**-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური შეადგენს - 1 858.50 **(ერთი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.** (საფასურების კალკულაციის ფურცელი თან ერთვის ხელშეკრულებას).

3.2 **"განმცხადებელი"** მომსახურების საფასურს იხდის უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ, **"შემსრულებლის"** საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან. **"განმცხადებლი"**-ს მოთხოვნის შემთხვევაში, სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, **"განმცხადებელი"**-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

მხარეთა პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. ფორს მაჟორი

6.1 მხარეები თავისულდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით - ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით და სხვ. რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რა დროითაც მოქმედებდნენ ეს გარემოებები.

6.2 თუ ეს გარემოებები 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოთხოვოს მეორე მხარეს ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება აკრედიტაციის ცენტრის ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ამ ხელკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და მას ენიჭება უპირატესი ძალა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ, მანამდე დადებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობითი შეთანხმების მიმართ.

უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

8.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან მეტი დებულება რაიმე მიზეზით ჩაითვლება ბათილად, ძალადაკაგულად ან უკანონოდ, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების
ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც შესაძლებელია ბათილი დებულების მიზნის მიღწევა.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება **„შემსრულებელთან“** ხოლო მეორე ეგზემპლიარი - **„განმცხადებელთან“**.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:	
დასახელება:	სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
მისამართი:	საქართველო, თბილისი, 0186 ალ. ყაზბეგის გამზირი #42ა
ტელეფონი:	2 19 22 33
საბანკო რეკვიზიტები:	საიდენტიფიკაციო კოდი 200169325, ბანკის კოდი TRESGE22, ანგარიშის სახაზინო კოდი 707197055
განმცხადებელი:	
დასახელება:	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
მისამართი:	ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელეფონი:	557 12 33 06
საბანკო რეკვიზიტები:	სს „თი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიშის ნომერი GE67TB7931836070100001 საიდენტიფიკაციო კოდი 202886788

მხარეთა ხელმოწერები:

"შემსრულებელი"

ნათია მიქელაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბ.ა

"განმცხადებელი"

გიორგი შარკოვი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ბ.ა

LLC Tbilisi Transport Company

Подписано цифровой подписью: LLC Tbilisi Transport Company
Дата: 2020.01.22 11:41:25 +04'00'

LEPL Georgian Unified National Body Of Accreditation Accreditation Center

Digitally signed by LEPL Georgian Unified National Body Of Accreditation Accreditation Center
Date: 2020.01.22 15:54:05 +04'00'

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს საგამოცდო საკალიბრო ლაბორატორიის ყოველწლიური შეფასება

შესაფასებელი სფეროების რაოდენობა	N =	5	
შესაფასებელი ტესტირების, დაკალიბრების ან გაზომვის მეთოდების რაოდენობა	M=	4	
აკრედიტაციის სფეროს სიდიდის კოეფიციენტი	P=	54	

აკრედიტაციის ცენტრის მომსახურების საფასური H = A + B + T სადაც:			
A	განაცხადის განხილვის საფასური =	0	
B	B = Bძირ + Bფილ		
	ძირითადი საფასური Bძირ =	1400	1200 თუ P≤30
			1400 თუ 30<P≤80
			1800 თუ 80<P≤130
			2200 თუ 130<P≤180
			2600 თუ 180<P≤230
			3000 თუ 230<P≤280
			3400 თუ P>280
	Bფილ =(1200 + 100xN). (სფეროების რაოდენობა I ფილიალში - N1)		
	სფეროების რაოდენობა II ფილიალში - N2		
	სფეროების რაოდენობა II ფილიალში - N3		
	ფილიალების შეფასების საფასური Bფილ. :	0	
	სულ B =	1400	
T	ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება T = 100+15xN		
	I ტექნიკური შემფასებელის N1 =	5	175
	II ტექნიკური შემფასებელის N2 =		
	III ტექნიკური შემფასებელის N3 =		
	სულ T =	175	

ხელშეკრულების ღირებულების გაანგარიშების ცხრილი

განაცხადის საფასური	ძირითადი საფასური	ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურება	მომსახურების საფასური	დღგ	ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
A +	B +	T =	H	18%	
0	1400	175	1575	283.5	**1858.5**

მოამზადა:

მთ. სპეციალისტი

შეითანხმა: 18571

ფინანსური მენეჯერი